

ბსუ-ს სტუდენტთა გზამკვლევი

X თავი

საუნივერსიტეტო სტიპენდიები (განახლებული რედაქცია - სექტემბერი, 2023 წ)

ბსუ-ს სტუდენტთათვის დაწესებულია სხვადასხვა სახის სტიპენდიები, რომელთა დანიშვნა-გაცემის რეგულაცია მოცემულია შემდეგ სამართლებრივ აქტებში:

ა) ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 07 ნოემბრის N01 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთათვის სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესში“ (სტუდენტთა გზამკვლევის **დანართი 4**);

ბ) ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 07 ნოემბრის N02 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთათვის ავთანდილ ბარათაშვილის სახელობის სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესში“ (სტუდენტთა გზამკვლევის **დანართი 5**);

გ) ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის N06 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესში“ (სტუდენტთა გზამკვლევის **დანართი 3**).

ბსუ-ს სტუდენტებს შესაძლებელია დაენიშნოთ შემდეგი სახის სტიპენდიები:

1. „პირველსემესტრელის სტიპენდია“ - (ყოველთვიურად 100 ლარის ოდენობით) - ენიშნება პირველი სასწავლო წლის პირველი სემესტრის იმ სტუდენტს, რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩაირიცხება აბიტურიენტის განაცხადში (სარეგისტრაციო ანკეტაში) მის მიერ პირველ ნომრად მითითებულ, წესის (სტუდენტთა გზამკვლევის **დანართი 4**) მე-2 პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ბსუ-ს რომელიმე პროგრამაზე და ამავდროულად, ერთიანი ეროვნული გამოცდისათვის ბსუ-ს მიერ განსაზღვრულ, სავალდებულო საგნის (მათემატიკა ან/და ისტორია) გამოცდაზე მიღებული აქვს ფაკულტეტზე ჩარიცხულ სტუდენტთა შორის ყველაზე მაღალი (სკალირებული) ქულა.
2. „საფაკულტეტო სახელობითი სტიპენდია“ - ყოველთვიურად 150 ლარის ოდენობით, ენიშნება ჩატარებული კონკურსის შედეგად გამარჯვებულ კანდიდატებს (სწავლის მეორე წლიდან - მესამე სემესტრიდან), რომლებსაც საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებში (როგორც ძირითად ან/და დამატებით, ისე საკუთარი ინიციატივით დარეგისტრირებულ სასწავლო კურსში), „საშუალო შეწონილი“ ფორმულით მიღებული აქვთ 91 ქულა

და მეტი და რომლებიც გამოირჩევიან აქტიური სამეცნიერო საქმიანობით (გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი შესაბამის სპეციალობაში ან არის სხვადასხვა სამეცნიერო ან სასწავლო კონფერენციების, სემინარების, სიმპოზიუმების და ა.შ. მონაწილე და აქვს მაღალი მიღწევები. „საფაკულტეტო სახელობითი სტიპენდია“ გაიცემა შემოდგომის სემესტრისათვის - სექტემბრიდან მომდევნო წლის თებერვლის ჩათვლით, ხოლო გაზაფხულის სემესტრისათვის - მარტიდან აგვისტოს ჩათვლით (თითოეული - 6 თვის პერიოდის).

3. „საუნივერსიტეტო სახელობითი სტიპენდია“ - ყოველთვიურად 200 ლარის ოდენობით, ენიშნება ჩატარებული კონკურსის შედეგად გამარჯვებულ კანდიდატს (სწავლების მეორე წლიდან - მესამე სემესტრიდან), რომელსაც საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებში (როგორც ძირითად ან/და დამატებით, ისე საკუთარი ინიციატივით დარეგისტრირებულ სასწავლო კურსში), „საშუალო შეწონილი“ ფორმულით მიღებული აქვთ 91 ქულა და მეტი და რომელიც გამოირჩევა აქტიური სამეცნიერო საქმიანობით (გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი შესაბამის სპეციალობაში ან არის სხვადასხვა სამეცნიერო ან სასწავლო კონფერენციების, სემინარების, სიმპოზიუმების და ა.შ. მონაწილე და აქვს მაღალი მიღწევები). „საუნივერსიტეტო სახელობითი სტიპენდია“ გაიცემა შემოდგომის სემესტრისათვის - ოქტომბრიდან მომდევნო წლის თებერვლის ჩათვლით, ხოლო გაზაფხულის სემესტრისათვის - მარტიდან ივლისის ჩათვლით პერიოდისათვის (5 თვის პერიოდის).
4. „ავთანდილ ბარათაშვილის სახელობის სტიპენდია“ - სტიპენდია ენიშნება კონკურსის წესით შერჩეულ, უმაღლესი აკადემიური განათლების პირველი და მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე 8 (რვა) სტუდენტს, სწავლის მეორე წლიდან (მესამე სემესტრიდან), ყოველთვიურად 190 (ასოთხმოცდაათი) ლარის ოდენობით. სტიპენდია თითოეულ სემესტრში გაიცემა ერთჯერადად, სტიპენდიის გაცემის თაობაზე სამართლებრივი აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.
5. სახელმწიფო სტიპენდია - თვეში 150 ლარის ოდენობით - ბსუ-ში გაიცემა სახელმწიფო პროგრამის „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ ფარგლებში, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული წესისა და თითოეულ სემესტრში გამოცემული ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში და ოდენობით (თვეების მიხედვით).

ბსუ-ში დაწესებულია შემდეგი „სახელობითი სტიპენდიები“:

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე

- 1) პროფ. როლანდ კომახიძის სახელობის;
- 2) პროფ. დავით ხახუტაიშვილის სახელობის;
- 3) პროფ. აბელ სურგულაძის სახელობის;

4) სელიმ ხიმშიაშვილის სახელობის.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტზე

- 1) აკად. მემედ კომახიძის სახელობის;
- 2) დოც. ვლადიმერ ქემხაძის სახელობის;
- 3) დოც. ოთარ ახვლედიანის სახელობის.

ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტზე

- 1) აკად. დურსუნ ბალაძის სახელობის;
- 2) ხუსეინ ხალვაშის სახელობის;
- 3) სილოვან დადუნაშვილის სახელობის;
- 4) გულო ალა კაიკაციშვილის სახელობის.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე

- 1) პროფ. ვახტანგ პაპუნძის სახელობის;
- 2) პროფ. ვალერიან მელქაძის სახელობის;
- 3) პროფესორ გივი გამსახურდიას სახელობის.

იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე

- 1) პროფ. სერგო ჯორბენაძის სახელობის;
- 2) ტბელ აბუსელიძის სახელობის.

ტექნოლოგიური ფაკულტეტზე

- 1) გიორგი ნიკოლაძის სახელობის;
- 2) აკად. ლევან ყანჩაველის სახელობის.

ტურიზმის ფაკულტეტზე

- 1) ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის;
- 2) ვახუშტი ბატონიშვილის სახელობის.